



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030439189666020

№ 04-375/თ

31 / ივლისი / 2020 წ.

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმწოდებლებისთვის გადაცემული C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 5 ივნისის N04-363/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N1, პუნქტი 2.4-ის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიმწოდებლებისთვის გადაცემული C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 5 ივნისის ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული N1 დანართი შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართით (დანართი N1).
2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე